პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 91 (1105) | შაბათი, 30 ივლისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

აქ მოსკოვში

მსოფლიოს ახალგაზრდობის ზეიმი

გულღიად და დიდი რუსული საბჭოთა სტუმართმოყვარეობით შეხვდა მოსკოვი ყველა კონტინენტის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, რომელნიც ჩამოვიდნენ მსოფლიოს ახალგაზრდობის დღესასწაულზე. მსოფლიოს ყველა კუთხიდან, 121 ქვეყნიდან მოსკოვს შეიკრიბა 30 ათასზე მეტი დელეგატი და სხვა სტუმარი, 70 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

და აი დადგა დიდი ხნის ნანატრი 28 ივლისის კვირა დილა, რომლისთვისაც გულის ფანცქალით ემზადებოდა მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და კაცობრიობის ბედნიერება. მოსკოვმა ამ დილას ჩვეულებრივზე ადრე გამოიღვიძა, მწვანითა და ყვავილებით მორთულ-მოკაზმულმა, სახელმწიფოთა ეროვნული ალმებით, ასეულ ათასობით ფესტივალის ემბლემით დამშვენებულმა. ყველგან არის მშვიდობის სიმბოლოს — თეთრი მტრედის გამოსახულება. მაგრამ დილის ყველაზე ბრწყინვალე სანახაობა არის სადღესასწაულოდ მორთულ, მხიარულ, მოზეიმე ქალიშვილთა და ჭაბუკთა ჯგუფები. ახალგაზრდობა გაემართა ეგრეთწოდებული ჭაბუკობის ტრასისაკენ. ამ ტრასაზე დღეს საზეიმოდ გაივლიან ავტომობილებით ფესტივალის მონაწილენი. მსვლელობა დაიწყება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან და დამთავრდება ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

აი ეს ოცკილომეტრიანი ტრასაც. მთელ მის სიგრძეზე კედლივით დგას ასეული ათასობით მოსკოველი. თავისუფალი არ არის არც ერთი აივანი, რომელიც ამ პროსპექტზე გამოდის, მრავალათასობით თვალი იყურება სახლების ფანჯრებიდან. ჭეშმარიტად ყვავილების ზღვაა.

სრულ 11 საათსა და 45 წუთზე იაროსლავლის გზატკეცილისა და ოსტანკინის ქუჩას შესაყარზე ცას აწვდა ფანფარების ხმა და თეთრ მოტოციკლებზე მსხდომი 40 მაუწყებელი ცისფერი დროშებით იწყებს VI მსოფლიო ფესტივალის საზეიმო სვლას. მათ მიჰყვება ყვავილების გირლანდებით მორთული დღესასწაულის ემბლემა, რომელიც შორიდან ჩანს. დელეგაციათა კოლონები გზას გაუდგნენ.

პირველნი მიდიან ავსტრალიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მათ მიჰყვებიან ალჟირის, შავი აფრიკის დელეგატები, რომელთაც ტაშით ეგებებიან...

ზედიზედ მიდიან მანქანები, თითქმის თითეული მანქანიდან ისმის შეძახილები „მშვიდობა", „მეგობრობა".

იქ, სადაც სადოვოე კოლცო ციცაბოდ ეშვება სამოტეჩნი მოედანზე, საავტომობილო მსვლელობის მონაწილეს ათასობით მოსკოველი შეხვდა...

... ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის გიგანტურ მოედანს გარს არტყია ქსოვილი, რომელსაც რუსულ, ჩინურ, ფრანგულ ,ინგლისურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე აწერია სიტყვა „მშვიდობა".

ბობოქრობს ხალხით გაჭედილი ტრიბუნები. საათის ორმეტრიანი ისრები ნაშუადღევის 3 საათს უახლოვდება. ცენტრალურ ტრიბუნებზე არიან ფესტივალის ორგანიზატორები — დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელები, ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრები.

ცენტრალურ ლოჟაში შემოდიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები — ფესტივალის გახსნის ზეიმზე მოსულან საპატიო სტუმრები — ამხანაგები ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. კ. ჟუკოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ო. ვ. კუუსინენი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. მუხიტდინოვი, პ. ნ. პოსპელოვა, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი. დამსწრენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მათ.

ნაშუადღევის სამი საათია, ფესტივალის გახსნა ერთი საათით დაგვიანდა მოსკოველების, მათი ენთუზიაზმის მიზეზით, რომლითაც ისინი ამ წუთებში მიესალმებიან სტუმრებს, რომლებმაც საავტომობილო მსვლელობა გამართეს ქალაქში. სტუმრებიანი მანქანები ძლივს მიიკაფავდნენ გზას ადამიანთა ზღვაში. მაგრამ აი ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნებზე აწყება მეფანფარეთა ორი ჯგუფის ურთიერთ გამოძახება. ჯერ ფანფარების ხმა არ შეწყვეტილიყო, რომ იგრიალა ორკესტრმა და სტადიონზე შემოვიდა მედროშეთა მეწინავე კოლონა. ტრიბუნებზე გრიალებს მისალმება.

წინ არიან თეთრი სპორტული კოსტიუმებით გამოწყობილი ჭაბუკები, რომელთაც მოაქვთ ფესტივალის ვეებერთელა ემბლემა, ხოლო ქალიშვილებს მოაქვთ სამოცმეტრიანი ფერადი ლენტი — ყვითელი, ცისფერი, მწვანე, ნარინჯის ფერი და წითელი, რომლებიც განასახიერებენ მსოფლიოს ხუთ კონტინენტს.

საზეიმო მარშის დამთავრების შემდეგ მედროშეთა მეწინავე კოლონა შეჩერდა. მთელი სტადიონის ტაშის გრიალში მის არენაზე შემოდიან საავტომობილო მსვლელობის მონაწილე ქალიშვილთა და ჭაბუკთა კოლონები.

აუწერელია დელეგაციათა სვლის სანახაობას სილამაზე. ფერად-ფერადი ეროვნული კოსტიუმები, ხალხური ორკესტრები, ალმები, ცეკვა სტადიონზე გავლისას... მოდიან ავსტრალიის, ალბანეთის, ავსტრიის, ალჟირას, არგენტინის, ავღანეთისა და ბელგიის, ბირმისა და ბაჰრეინის, ბულგარეთისა და ბოლივიის, ბრაზილიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები. მოდიან ვენესუელის, უნგრეთის, ვიეტნამის, ვესტინდოეთის, ჰაიტის, გვადელუპის, გვატემალის, გვიანის ქალიშვილები და ჭაბუკები.

შემდეგ მოდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დომინგოს რესპუბლიკის, საბერძნეთისა და კვიპროსის, დანიის, ეგვიპტისა და ზანზიბარის, ისრაელისა და ინდოეთის, ინდონეზიის, იორდანიის, ერაყის, ირლანდიის, ისლანდიის, ესპანეთის, იტალიის, კამბოჯის, კანადის, ჩინეთის, კოლუმბიის, კორეის, კოსტა-რიკის, კუბის დელეგატები.

შემდეგ მოდიან კუვეიტის, ლაოსის, ლიბანის, ლუქსემბურგის, მადაგასკარის, მალაიის, მაროკოს, მარტინიკის მექსიკის, მონაკოს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ნეპალის, ნიდერლანდის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, ომანის, პაკისტანის წარმომადგენლები.

მათ მოჰყვებიან პარაგვაელები, პერუელები, რეუნიონის, პოლონეთის, რუმინეთის, სან-მარინოს, სალვადორის, სამოას, სირიის, ამერიკის შეერთებული შტატების, სომალის, სურინამის, ტაილანდის, ტუნისის, თურქეთის, უგანდის, ურუგვაის დელეგატები.

სარბენ ბილიკზე შემოდიან ფარერის კუნძულების, ფილიპინების, ფინეთის, საფრანგეთის, ცეილონის ჩეხოსლოვაკიის, ჩილის, შვეციის, შვეიცარიის, ეკვადორის, ეთიოპიის, იუგოსლავიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის და იაპონიის ქალიშვილები და ჭაბუკები. ერთად მოდიოდნენ არაბთა ქვეყნების, შავი აფრიკის წარმომადგენლები. ცალკე კოლონა შეადგინეს მუსლიმანი ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაციის წევრებმა.

საზეიმო პარადს ამთავრებს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანია ფესტივალზე.

ფესტივალის მონაწილეები ეწყობიან სტადიონის მწვანე მინდორზე. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელ ქალიშვილთა ჯგუფი ადის ლოჟაში, სადაც სხედან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, და გადასცემენ მათ ყვავილების თაიგულებს. ყვავილებს მიართმევენ საბჭოთა ქალიშვილები აგრეთვე ფესტივალის ორგანიზატორებსა და დელეგაციათა ხელმძღვანელებს.

მიკროფონს უახლოვდება სსრ კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე სერგი რომანოვსკი. — მე წილად მხვდა დიდი პატივი, — ამბობს იგი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის სახელით, საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ და გითხრათ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!".

ავსტრალიისა და ოკეანიის ახალგაზრობის სახელით გამოდის ჩარლზ ბრეზლანდი (ავსტრალია), აზიისა— ჩინტამონი პანიგრაჰი (ინდოეთი), ამერიკასა — როჟე ფერეირა (ბრაზილია), აფრიკისა — კომფორტ ტეია (განა) და ევროპისა — ანტუან ომონი (საფრანგეთი).

რადიორეპროდუქტორებს მოაქვთ ცნობა მეგობრობის საერთაშორისო ესტაფეტის ფინიშის შესახებ. ესტაფეტა მოსკოვს მოდიოდა რამდენიმე მარშრუტით. მან ლამის ქვეყანა გამოიარა. ათეულ ათასობით კილომეტრი გაირბინეს ესტაფეტის მონაწილეებმა. სსრ კავშირის საზღვარზე იგი მიიღო საბჭოთა ახალგაზრდობამ.

სარბენ ბილიკზე არიან ამანათიანი მორბენლები. სპორტსმენებმა დამსწრეთა ტაშის გრიალში ამანათი გადასცეს ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს.

დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან ორატორთა სიტყვებს.

სტადიონზე იმართება ოვაცია — სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხისა და პირადად თავისი სახელით იგი გულთბილად ესალმება ფესტივალის მონაწილეებს და უსურვებს კარგად და სასარგებლოდ გაეტარებინოთ ფესტივალის დღეები.

თავისი სიტყვის დასასრულს კლიმენტ ეფრემის-ძემ გამარჯვება უსურვა მშვიდობას მთელ მსოფლიოში. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგომით მქუხარედ უკრავენ ტაშს. გაისმის მისასალმებელი შეძახილები მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენაზე. ათასობით მტრედი აფრინდა სტადიონს თავზე.

ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის დავალებით სერგი რომანოვსკიმ გახსნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი.

დადგა ყველაზე საზეიმო წუთი. გაისმის ფანფართა ხმები. ყველას თვალი მიპყრობილია ანძისაკენ, რომელზეც ნელ-ნელა ადიმართა თეთრი ალამი ფესტივალის ემბლემით. მშვიდობისა და მეგობრობის დღესასწაული დაიწყო! და მეგობრობის სიმღერას მღერის ახალგაზრდობა. 100 ათასზე მეტი კაცი სხვადასხვა ენაზე მღერის დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ამ სიმღერის ხმები აქედან, ლენინის სახელობის სტადიონიდან, ეფინება მთელ ჩვენს პლანეტას.

შესვენების შემდეგ დელეგაციები სხდებიან ტრიბუნებზე. ხალხთა სიმღერებას მელოდიები ჟღერს სტადიონზე. იწყება საბჭოთა სპორტსმენების მასობრივი ტანვარჯიში. გამოსვლებს იწყებენ შრომითი რეზერვების აღზრდილნი.

დიდი ოსტატობა უჩვენეს დამსწრეთ ლენინგრადისა და მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთა ტანმოვარჯიშეებმა, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა სპორტსმენებმა.

მშვენიერი სიუიტა „აყვავდი, ჩვენო ახალგაზრდობავ" შეასრულა მოცეკვავეთა დიდმა ანსამბლმა, რომელიც სსრ კავშირის ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის ქორეოგრაფიული კოლექტივებისაგან შედგება.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის გახსნა მკაფიოდ გამოხატავს ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის ერთიანობას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

• • •

დიდი მოწონება ხვდათ სტალინის სახელობის მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ტანმოვარჯიშეთა გამოსვლას, რომელთა რიგებში იყვნენ საქართველოს სპორტსმენები გ. და რ. შარაბიძეები, კაჭახიძე, გელუკაშვილი, კომისარენკო, ხაჩიძე, აბზიანიძე.

გუშინ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიხსნა მესამე საერთაშორისო მეგობრული თამაშები, რომელშიც მონაწილეობს 3.000-მდე სპორტსმენი. სხვადასხვა ქვეყნის გოგონებსა და ჭაბუკებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. რომანოვმა.

ამას წინათ კრემლში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცათ სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს, რომლებმაც მთავრობის ეს მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს ჩვენს ქვეყანაში მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში, სპორტის ოსტატობის ამაღლებისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის.

სპორტსმენებს ჯილდოები გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვ. კუუსინენმა.

ლენინის ორდენები გადაეცათ სსრ კავშირის კალათბურთელთა გუნდის კაპიტანს ლ. ალექსეევას, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ციგურებში მ. ისაკოვას, ცნობილ ტანმოვარჯიშეს ლ. ლატინინას, გროსმაისტერებს ვ. სმისლოვსა და მ. ბოტვინიკს. ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ბ. პაიჭაძეს, ნ. დვალიშვილს, სპორტის ოსტატებს ნ. გვახარიას, ბ. ნიკიტინს და სხვებს.

დაჯილდოებულთ სიტყვით მიმართა ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა, რომელმაც მიულოცა სპორტსმენებსა და მათ აღმზრდელებს მაღალი ჯილდოების მიღება. ამხ. ვოროშილოვმა სპორტსმენებს, ფიზიკური კულტურის ყველა მუშაკს უსურვა ახალი და დიდი წარმატებანი ფიზიკური კულტურის მასობრიობის შემდგომ განვითარებასა და საბჭოთა სპორტის მიღწევების დონის ამაღლებაში.

• • •

სურათზე: ორდენებით დაჯილდოებულ სპორტსმენთა ჯგუფი. შუაში სხედან (მარცხნივ) ამხ. კ. ე. ვოროშილოვი და ო. ვ. კუუსინენი.

შევაჯამოთ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგები

გავიდა 1957 წლის პირველი ნახევარი. ამ ექვსი თვის განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ცხოვრებაში. რესპუბლიკურმა, რაიონულმა და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებმა მრავალი ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე სპორტსმენი გამოავლინა, ჩამოყალიბდა ახალი კოლექტივები, საწარმოთა ფიზკულტურელებმა ჩვეული ენთუზიაზმით მოკიდეს ხელი საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას და ახლა რესპუბლიკის ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში სამუშაოს დაწყებამდე და შესვენებისას იმართება გამამხნევებელი ვარჯიშები და ფიზწუთშესვენებები.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიზკულტურისა და სპორტის ავტორიტეტი მასებში, დაინერგა და კარგი მომავლის იმედს იძლევიან სპორტის ახალი სახეობები. ყოველივე ამას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საპატიო ადგილზე გამოსვლამ, მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი წარგზავნილების გამარჯვებამ და სხვა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დგას: საბჭოთა კავშირის 1959 წლის სპარტაკიადაზე ჩვენგან მხოლოდ სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებული გუნდები უნდა წარსდგეს (გასულ სპარტაკიადაზე საჭირო იყო მხოლოდ პირველთანრიგოსნები). ეს კი მოითხოვს მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და ოსტატების მომზადების გეგმების შესრულებას. ამიტომ ახლა, როდესაც მიმდინარე წლის ნახევარი დამთავრდა, საჭიროა გადავხედოთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების მიმდინარეობას რესპუბლიკაში.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში უკვე არის დაჯამებული მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგები. ბევრი ქალაქი და რაიონი თავს ართმევს აღებული ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის ქალაქები: თბილისი, რუსთავი; რაიონები: დუშეთი, გურჯაანი, ხაშური, მცხეთა... სასიხარულოა, რომ მოწინავეთა შორის გამოჩნდა ბოლნისი. მოწინავეთა ეს არასრული სიაა. იგი შეგვიძლია კიდევ გავზარდოთ სხვა ქალაქისა და რაიონის დასახელებით. მაგრამ, სამწუხაროდ, არანაკლები მოზრდილი იქნება ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში ჩამორჩენილთა სიაც. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფიზკულტურული ორგანიზაციები. შემდეგ ბოგდანოვკის, სამტრედიის, ტყიბულის რაიონები და საქართველოს სპარტაკიადაში (მეორე ჯგუფი) გამარჯვებული ქალაქი ფოთი. ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში ბევრი ჩამორჩენილი რაიონის ხელმძღვანელი ალბათ თავს იმით იმართლებს, რომ წლის ბოლომდე დრო კიდევ ბევრია და გეგმის შესრულებას მოასწრებენ. ამას კამპანიურობა ეწოდება და მუშაობის ასეთი მავნე მეთოდი საბჭოთა სისტემაში დიდი ხანია დაგმობილია.

ჩამორჩენა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში პირველ რიგში ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების ბრალია. ბევრი მათგანი უგულებელყოფს აქტივთან მუშაობას და სათანადო კონტროლს არ უწევს სპორტულ საზოგადოებათა საქმიანობას. ამას წინათ რესპუბლიკურმა კომიტეტმა მოისმინა „კოლმეურნის“ სამტრედიის რაისაბჭოს მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ რაისაბჭოს თვეების მანძილზე არაფერი გაუკეთებია. რაიონულ კომიტეტს კი ერთხელაც არ მოჰგონებია შეესწავლა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს საქმიანობა.

ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადება ჩვენი მთავარი საზრუნავია. ეს არის ჩვენი საერთო ზრდისა და განვითარების საფუძველი. ამიტომ ფიზკულტურისა და სპორტის თვითეულმა მუშაკმა, რომლისათვის ძვირფასია რესპუბლიკის ინტერესები, მთელი ენერგიით უნდა იბრძოლოს ამ საქმის პირნათლად შესრულებისათვის. არ უნდა დავუშვათ იერიშობანა, სიყალბე, თვალის ახვევა.

მთელი საბჭოთა კავშირი და პროგრესული კაცობრიობა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. ამ თარიღს უძღვნიან შრომით საჩუქრებს საბჭოთა მშრომელები. ჩვენც ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ და ჩავებათ საერთო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფერხულში.

ჩვენ გვინდა მოვუწოდოთ მწვრთნელებს, ფიზაღზრდის მასწავლებლებს, ფიზკულტურულ მუშაკებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოთქვან თავიანთი აზრი, თუ როგორ შეიძლება უკეთ მოვაწყოთ ნიშნოსნების მომზადება, რა გვიშლის ხელს და როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ მუშაობის პროცესში აღმოცენებული დაბრკოლებები.

◆

დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსი

◆

პიონერთა ბანაკების ფიზაღზრდის ხელმძღვანელთა დასახმარებლად

I ვარჯიში

ადგილზე რბენა. **მითითებანი:** რბენა სრულდება ტემპის თანდათანი მომატებით, ნელი ტემპიდან საშუალომდე; სუნთქვა თანაბარია. რბენის შემდეგ სრულდება ადგილზე სიარული.

II ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1-2. მარჯვენით წინ ნაბიჯი, მარცხენის უკუფეხი ცერზე, გაზნექი მკერდის არეში, გარეწრიწრკალებით გარეზემკლავი. 3-4. მარჯვენის მიდგმა მარცხენასთან, გარეწრიწრკალებით მიმკლავი. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, მეორდება 4-6-ჯერ; 1-2 თვლაზე ღრმა შესუნთქვა, 3-4 თვლაზე — ამოსუნთქვა; ხელების მაღლა აწევის დროს თავი უკან არ იხრება.

III ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომა, დოინჯი. შესრულება: 1-2. ორი დრეკადი ბუქნი მუხლებით განზე. 3. წახტომით ფეხშლით დგომი. 4. წახტომით ს. მ. დაბრუნება. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში; მეორდება 4-6-ჯერ; სუნთქვა თანაბარია,. ბუქნები სრულდება ფეხის ცერებზე, ქუსლები ერთად. წახტომები სრულდება ფეხის ცერებზე — რბილად.

IV ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი, წინმკლავი, ქვენები. შესრულება: 1. ქვეწრეები. 2-3. ორი დრეკადი წინზნექი, ხელებით ფეხის ცერების შეხება. 4. ზემართი, მიმკლავი. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება ტემპის თანდათანი მომატებით — ნელი ტემპიდან საშუალომდე; მეორდება 4-6-ჯერ; წინზნექების დროს ფეხები მუხლის სახსარში არ იხრება. სუნთქვა თანაბარია.

V ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. შესრულება: 1. ბრუნი მარცხნივ, მარჯვენის უკუფეხი ცერზე, წინმკლავი. 2. მარჯვენის მიდგმა, დრეკადი უკუზნექი, განმკლავი ზღვარამდე. 3. განმეორებითი დრეკადი უკუზნექი. 4. ზემართი, მიმკლავი. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში; მეორდება 4-8-ჯერ. ზნექები სრულდება სრული ამპლიტუდით, ზღვარამდე.

VI ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ფეხშლით დგომი, ფეხები მხრებზე განივრად. შესრულება: 1. ღუნგანმკლავი, ხელები მომუჭული მხრებს ზევით. 2. ზეტანის ბრუნა მარჯვნივ, განმკლავი, ხელების გაშლა, ზენები. 3. ზეტანის ბრუნი მარცხნივ, ღუნგანმკლავი, ხელები მომუჭული მხრებს ზევით. 4. მიმკლავი, 5-8 იგივე ზეტანის მეორე მხარეს ბრუნით. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში; მეორდება 4-6-ჯერ, სუნთქვა თანაბარია; ზეტანის ბრუნების დროს ტერფები უძრავადაა.

VII ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ბუქნი. შესრულება: 1. ადგომი, მარჯვენა ფეხის უკუზეაქნევი, წინრკალებით ზემკლავი ზღვარამდე. 2. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. 3-4. იგივე მეორე ფეხით. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში, მეორდება 4-6-ჯერ. 1 და 3 თვლაზე შესუნთქვა, 2 და 4 თვლაზე—ამოსუნთქვა.

VIII ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ფეხშლით დგომი, დოინჯი. შესრულება: 1-2. მარჯვენა ფეხის 2-ჯერ დრეკით და გამართვით ორი დრეკადი ზნექი მარცხნივ, გარერკალით. 3. მარჯვენის დრეკა მარცხნივ, წინზნექი, მარჯვენა ხელის გაშლა და ნებით მარცხენა ფეხის ცერზე შეხება. 4. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში, მეორდება 4-6-ჯერ, სუნთქვა თანაბარია.

IX ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი, დოინჯი. შესრულება: 1-3. სამი ტყუპფეხწახტომა ადგილზე. 4. წახტომით ფეხების განზე გაშლა და შეერთება. **მითითებანი:** ვარჯიშის 8-12-ჯერ განმეორების შემდეგ, სრულდება ადგილზე სიარული 32-40 ნაბიჯის რაოდენობით, წახტომები სრულდება სწრაფ ტემპში, ხოლო ადგილზე სიარული — ტემპის თანდათანი შენელებით სწრაფი ტემპიდან ნელ ტემპამდე; 2-3 წახტომი— შესუნთქვა, 2-3 წახტომი — ამოსუნთქვა; წახტომება სრულდება ფეხის ცერებზე რბილად.

X ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა. ძირითადი დგომი. 1-2. ფეხის ცერებზე აწევა, ხელების ტანზე ცურებით გარეზემკლავი. 3-4. ტერფებზე დაშვება მოდუნებული მკლავების დაბლა „ჩამოყრით“ — მიმკლავი, მოდუნებულად ოდნავი წინზნექი. **მითითებანი:** ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, მეორდება 3-4-ჯერ. 1-2 თვლაზე ღრმა შესუნთქვა, 3-4 თვლაზე—ამოსუნთქვა.

საპატიო წოდება

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო განათლების დარგში გაწეული დიდი დამსახურებისათვის რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა ჯგუფს მიანიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

საპატიო წოდებათ აღნიშნულ მასწავლებელთა შორისაა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური მომზადების მეთოდური კაბინეტის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი ნოშრევანის-ძე მერკვილაძე.

ლელო
მე-2 გვ. № 91 (1105)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ მეზღვაურთა შორის

მოსკოვში ხუთ დღეს გრძელდებოდა „ნორჩი მეზღვაურის“ ნიშნოსანთა პირველი საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა ხუთი გუნდი მოკავშირე რესპუბლიკებიდან, 7 კოლექტივი რსფსრ-ს ოლქებიდან და თითო მოსკოვიდან და ლენინგრადიდან.

შეჯიბრების პირველივე დღიდან საქართველოს ჭაბუკთა გუნდმა ხელთ იგდო ლიდერობა. მას სამი დღის მანძილზე საუკეთესო შედეგები ჰქონდა. უკრაინის წარმომადგენლებმა მხოლოდ ფინალში შეძლეს მათი გადასწრება და პირველ ადგილზე გამოსვლა. ამრიგად, საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი წილად ხვდა უკრაინის ნორჩ მეზღვაურებს, ხოლო მეორე საქართველოს წარმომადგენლებს.

ვ. ლავრენტიევი

გათამაშების ცხრილი

მესამე ზონა
მდგომარეობა 30 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ერევანი)	18	13	5	0	46:10	31
ოსკ თბილისი	16	11	4	1	38:14	26
ქ. მოლოტოვი	18	10	5	3	30:9	25
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	17	9	5	3	32:20	23
„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)	15	9	4	2	24:7	22
„ზენიტი“ (იჟევსკი)	17	8	4	5	22:13	20
ოსკ სვერდლოვსკი	17	7	5	5	24:15	19
„კაირატი“ (ალმა-ატა)	15	8	1	6	21:25	17
„დინამო“ კიროვი	18	7	3	8	23:31	17
„ლოკომოტივი“ ჩელიაბინსკი	18	5	5	8	14:22	15
„ავანგარდი“ სვერდლ.	19	5	3	11	23:31	13
„სპარტაკი“ (ფრუნზე)	17	6	0	11	22:32	12
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	15	3	4	8	16:22	10
„ნეფტიანიკი“ (უფა)	19	4	2	13	10:41	10
„კოლხოზჩი“ (აშხაბადი)	18	3	3	12	13:36	9
„უროჟაი“ სტალინაბ.	13	0	1	12	5:35	1

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა 28 ივლისის მატჩები.

• • •

უფა. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ შედგა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მესამე ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი „ნეფტიანიკი“ შეხვდა თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდს.

მატჩი მოიგეს თბილისელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0.

სპარტაკიადაში გამარჯვებულნი

დამთავრდა თბილისის XIX საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ფეხბურთელთა 9 გუნდი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისა (მწვრთნელი ნ. ტატიშვილი) და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს (მწვრთნელი ს. სიხარულიძე) გუნდები. თამაში დამთავრდა ტრამვაელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

ამრიგად, სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელებმა. მეორე ადგილზეა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, ხოლო მესამეზე — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდი.

ა. გონელი

მესამე ადგილზე

ხარკოვში დამთავრდა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლების საკავშირო შეჯიბრება.

თბილისელ ფეხბურთელებს ბოლო შეხვედრა ჰქონდათ მოსკოვის გუნდთან, რომელიც დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

ამრიგად, გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოველმა ფეხბურთელებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მინსკისა და თბილისის გუნდები.

კროსისა და საგზატკეცილო ტრასაზე

ამ დღეებში ჩატარდა თბილისის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრება გზატკეცილზე და კროსში. გათამაშებულ აქნა მხოლოდ პირადი პირველობა.

პირველად ველოსიპედისტები ერთმანეთს შეეჯიბრნენ 75 კილომეტრზე რბოლაში. უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებაში მონაწილეთა უმრავლესობამ მაღალი შედეგები აჩვენა. ფინიშთან პირველი იყო სპარტაკელი ე. ბირიუკოვი—2:08.18,0, გამარჯვებულს 8 წამით ჩამორჩა სპორტის ოსტატი დინამოელი ა. თავაძე. მესამე ადგილზე იყო ლოკომოტიველი ს. კვინიკაძე.

150 კილომეტრზე რბოლა დაიწყო საერთო სტარტით. მონაწილეებმა თავიდანვე დიდი სისწრაფე განავითარეს და 25 წუთში ჩავიდნენ მცხეთაში. ამის შემდეგ აღმართზე ჯგუფს გამოეყო არმიელი ა. აგაევი და სცადა დაწინაურება. ავარიას გამო ჯგუფს ჩამორჩა მისი თანაგუნდელი ნ. გამჯიაშვილი. მოსახვევის შემდეგ ძირითად ჯგუფს გამოეყო სამი სპორტსმენი — ბურევესტნიკელები ს. ციმაკურიძე, ვ. კლიმოვი და არმიელი აგაევი.

ფინიშს მიუახლოვდა 9 მონაწილე ერთად, საკონტროლო ხაზი პირველად გადაჰკვეთა ს. ციმაკურიძემ — 4:20.15,0.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ წელს ჩატარდა ველოკროსი. მონაწილეებს სტარტიდანვე (ველოკროსი ჩატარდა დიღმის რაიონში) მოუხდათ მანქანების ზურგზე გადება და აღმართის სირბილით დაძლევა. გამოჩნდა პირველი ველოსიპედისტი, სპორტის ოსტატი კ. შენგელია, მან ყველა წინააღმდეგობა გაიარა კარგად. დაწინაურებულს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ არმიელი ნ. გამჯიაშვილი, სპარტაკელი ს. პოგორელოვი და „შრომის მათი რეზერვების“ წარმომადგენელი ტრეტიაკოვი. სპორტსმენები მიადგნენ ერთ-ერთ წინაღობას — ორმოს. შენგელიამ ფეხით არჩია გავლა, ხოლო გამჯიაშვილი დიდ სისწრაფეზე გადაახტა მას და რბოლას მოექცა სათავეში. ამის შემდეგ იგი მთელ დისტანციაზე წინ იყო და ფინიშის ხაზი პირველმა გადაჰკვეთა. საინტერესო ბრძოლა გაიმართა მეორე ადგილისათვის შენგელიასა და პოგორელოვს შორის. პირველმა თავის მეტოქეს მხოლოდ ნახევარი თვლით გაუსწრო და მეორე ადგილი დაისაკუთრა.

ა. გუნია,

სურათზე: მომენტები კროსის დისტანციაზე.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

ე. კაკაბაძე

ნ. გაფრინდაშვილი

ბ. გურგენიძე

ქალთა ნახევარფინალები

პიარნუ

შეჯიბრების დასკვნითი, XV ტურის წინ უკვე ნათელი იყო თუ ვინ ითამაშებდა ფინალში. ამიტომ მოჭადრაკეთა შეხვედრები უპირატესად მშვიდობიანი შედეგებით აღინიშნა. კაცკოვა ყაიმზე შეუთანხმდა ესტერკინას, კაკაბაძე-ორავს, გურფინკელი-კარტანაიტეს, სოპროვსკაია-კოგანს, სემიონოვა-ილიაზოვას. როოტარემ დაამარცხა ვართანიანი, კრიუკოვამ — კაუშილაიტე და პოდვოინამ — კური.

ამრიგად, პიარნუს ნახევარფინალი დამთავრდა ასე: I ადგილი დაიკავა ო. კაცკოვამ (მოსკოვი) — 10,5 ქულა, II-III-IV ადგილები 10 ქულით გაიყვეს ოსტატებმა ს. როოტარემ (ტალინი), ი. გურფინკელმა (დონის როსტოვი) და ე. კაკაბაძემ (თბილისი). V-VI-VII-VIII ადგილებზე გამოვიდნენ ქ. სოპროვსკაია, ს. პოდვოინაია (მოსკოვი), ო. სემიონოვა (ლენინგრადი), ტ. კრიუკოვა (კიევი) —9 ქულა თვითეულს და ა. შ. კოეფიციენტთა ცხრილით ფინალში მონაწილეობას უფლება ეძლევა ქ. სოპროვსკაიას.

კარგად ითამაშა საქართველოს ჩემპიონმა ე. კაკაბაძემ, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ფინალში მონაწილეობა. ე. კაკაბაძემ ტურნირში 7 პარტია მოიგო, ორი წააგო და 6 ყაიმით დაამთავრა.

ქ. გოგიავა,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

სვერდლოვსკი

მრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღება XV ტურში მიპყრობილი იყო ნ. გაფრინდაშვილისა და კ. სკეგინას პარტიებისადმი, რადგან აქ უნდა გამოვლინებულიყო ფინალის მონაწილე. დიდი აღმავლობით ითამაშა გაფრინდაშვილმა და დამსახურებულად მოუგო კიშინიოველ ტ. კონონოვას, რითაც მოიპოვა XIX ჩემპიონატში თამაშის უფლება. ნიჭიერმა მოჭადრაკემ ამ ძნელი შეჯიბრების ფინიშზე კარგად ითამაშა. მან მოწინააღმდეგეებს ექვსი პარტია მოუგო, შვიდში ყაიმით დაკმაყოფილდა, და ორი დამარცხება განიცადა.

გაფრინდაშვილის მეტოქემ სკეგინამ ვერ სძლია სატონინას და ყაიმით დაკმაყოფილდა. ტოგონიძემ პოზიციურ მანევრებში აჯობა დმიტრუკს და გაიმარჯვა. ვენდროვა დამარცხდა რუსინკევიჩთან.

დიდი მონდომებით თამაშობდა ორი რიგითი წაგების შემდეგ მ. ტოგონიძე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მან უკანასკნელ ხუთ ტურში 4 ქულა დააგროვა, ლიდერებს მაინც ვერ დაეწია.

ამრიგად, ფინალში სვერდლოვსკის ნახევარფინალიდან გავიდნენ ვ. ბორისენკო, ტ. ფილანოვსკაია (სვერდლოვსკი),- ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი); ე. მალანოვა (კიევი) და ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი).

შემდეგი ადგილები დაიკავეს ნ. რუსინკევიჩმა, კ. სკეგინამ, მ. ტოგონიძემ და ა. შ.

ლ. გელოვანი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

შესანიშნავი გამარჯვება

ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში დამთავრდა სტუდენტთა IV მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში. ამ ტრადიციულ ტურნირში საბჭოთა სტუდენტებმა მესამედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

საბჭოთა მოჭადრაკეთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რიგის უნივერსიტეტის სტუდენტები გროსმაისტერი მ. ტალი და ოსტატობის კანდიდატი ა. გიპსლისი, ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი გროსმაისტერი ბ. სპასკი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ოსტატი ბ. გურგენიძე, კუიბიშევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ოსტატი ლ. პოლუგაევსკი და მოსკოვის ელექტრომექანიკური ინსტიტუტის სტუდენტი ოსტატი ა. ნიკიტინი, ყველა 13 შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

X ტურში ინგლისელ სტუდენტებთან (3,5:0,5) და შემდგომ ტურში ეკვადორელებთან გამარჯვებით (4:0) საბჭოთა მოჭადრაკეებმა უზრუნველყვეს თავისათვის პირველი ადგილი. ისლანდიის მოჭადრაკეთა წინააღმდეგ ტალმა და სპასკიმ პარტიები ყაიმით დაამთავრეს, ხოლო გურგენიძემ და გიპსლისმა გაიმარჯვეს. დასკვნით, XIII ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ანგარიშით 2,5:1,5-ზე დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტები.

ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკე სტუდენტთა გუნდმა 52 შესაძლებელიდან 43,5 ქულა მოაგროვა. მათ 37 პარტია მოიგეს, ორი წააგეს და 13 შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს.

ოსტატმა ბ. გურგენიძემ მონაწილეობა მიიღო 6 მატჩში. მას არც ერთი პარტია არ წაუგია. გურგენიძემ მოუგო პარტიები ფინეთის, ისლანდიისა და მონღოლეთის წარმომადგენლებს, ხოლო ინგლისის, რუმინეთისა და უნგრეთის მოჭადრაკეებთან შეხვედრები ყაიმით დაამთავრა.

ჭაბუკთა შორის

ბათუმის ცირკში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირადგუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

საინტერესო სპორტული ბრძოლების შემდეგ რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს: ა. კუჭაძემ, მ. მუზაშვილმა, ვ. რუბაშვილმა, გ. სალარაძემ, ნ. ხუბაშვილმა (ყველა თბილისიდან), ლ. კაკუშაძემ (ქუთაისი), კ. ვართანოვმა და ნ. გოგიბედაშვილმა (ორივე თბილისიდან).

შეჯიბრების პროცესში არასპორტულად იქცეოდნენ ქუთაისის, საგარეჯოს და აფხაზეთის გუნდების წარმომადგენლები გიგიაძე, მეკოკიშვილი და გოგიშვილი, რომლებიც თავიანთი უდისციპლინო გამოხდომებით ხელს უშლიდნენ პირველობის ნორმალურად ჩატარებას და მაყურებელთა სამართლიან გულისწყრომას იმსახურებდნენ.

ჩემპიონატის შემდეგ დაკომპლექტდა რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდი.

შ. ნოზაძე,
სპორტის ოსტატი.

სტუმარი ინგლისიდან

ვის არ ხიბლავს საქართველოს წარმტაცი ბუნება, მისი ცადაზიდული მთები, მარად მწვანე ველები და მოჩუხჩუხე მდინარეები. მხოლოდ ამიტომ სახელმოხვეჭილმა პროგრესულმა ინგლისელმა მწერალმა ჯეიმს ოლრიჯმა ოჯახითურთ გადაწყვიტა მიმდინარე წლის ზაფხული გაატაროს საქართველოში, შავი ზღვის პირას, გაგრაში.



— მე ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ვიცი საქართველოს შესახებ, — ამბობს ოლრიჯი, — მაგრამ პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ამ განსაცვიფრებელ მხარეში, მეტად ძვირფასია, ქართველების სტუმართმოყვარეობა ჩემს მიერ გაგონილზე უფრო მეტი ყოფილა. მე და ჩემი ოჯახი ძალიან თბილად მიგვიღეს.

გამოჩენილი მწერალი ჯეიმს ოლრიჯი მშვიდობის იდეით გამსჭვალული შესანიშნავი თხზულებების ავტორია და არის ინგლის-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე.

გაგრაში ჯეიმს ოლრიჯი მუშაობს წიგნზე, რომელიც ასახავს 1956 წლის დამლევს ეგვიპტეში მომხდარ ამბებს. მწერალი მზის ამოსვლიდან სადილობამდე საწერ მაგიდასთან მუშაობს, ხოლო შემდეგ იწყება მისი სპორტთან დაკავშირებული საათები.

ჯეიმს ოლრიჯი თავისი მეუღლის ეგვიპტელი დინა ოლრიჯისა და ორი ბიჭუნას თანხლებით ზღვისკენ მიემართება. ისინი ყველა საწყლოსნო სპორტის მოყვარულნი არიან. ოლრიჯი განსაკუთრებით დიდ პატივს სცემს წყალქვეშა ნადირობას. მან ინგლისიდან საგანგებოდ ჩამოიტანა წყალქვეშა პნევმატური თოფი, საცურაო მოწყობილობა და წყლისქვეშ გადამღები კინოკამერა. აქ მოყვანილი სურათი ასახავს ჯეიმს ოლრიჯის ნადირობის ზოგიერთ ეპიზოდს. გარდა ამისა დიდი მწერალი თავის ვაჟიშვილებს ეჯიბრება ცურვაში, ყვინთვაში. უნდა ითქვას, რომ პატარები არ ჩამორჩებიან მამას. ზოგჯერ ოლრიჯი კინოკამერით ეშვება ზღვის ფსკერზე და იღებს ფერად ფირზე ზღვის მცენარეებისა და ცხოველების ცხოვრებას. ჩვენს სტუმარს სურს ინგლისის ბიოლოგიურ მუზეუმს მიართვას ეს შესანიშნავი კადრები.

ოლრიჯი ისე, როგორც მისი ოჯახის წევრები, კმაყოფილია საზაფხულო დასვენების ადგილის არჩევანით — მე ძალიან მაინტერესებს საქართველო და მსურს მას უფრო ახლო გავეცნო, — ამბობს იგი, — თუმცა უკვე ზოგი რამ ვიცი მის შესახებ, მაგალითად, მომისმენია ქართული სიმფონიური მუსიკა, ხალხური სიმღერები, საქართველოს ღვინოებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ჩემის აზრით ისინი ფრანგულ ღვინოებსაც სჯობია.

მწერალი სამ თვეს დაჰყოფს გაგრაში, შემდეგ, როგორც თვითონ ამბობს, ჩვენს დედაქალაქსაც ინახულებს.

• • •

სურათზე: ზევით — ჯეიმს ოლრიჯი სამუშაო მაგიდასთან, წყალქვეშა ნადირობის წინ. მარჯვნივ — მისი მეუღლე და ვაჟიშვილი ნანადირევით.

ჩაებნენ შეჯიბრებაში

30 წელი შეუსრულდა კურამის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმს. თავისი არსებობის ამ პერიოდში აქ აღიზარდა 1.500-მდე სპეციალისტი. სპეციალური საგნების სწავლების გარდა ტექნიკუმში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. ტექნიკუმის 8 სექციაში გაერთიანებულია თითქმის ყველა მოსწავლე. მათ განკარგულებაშია ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საჭიდაო წრე.

ამას წინათ ჩატარდა ახალგაზრდობის ფესტივალისადმი მიძღვნილი სარაიონო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ტექნიკუმელებმა გაიმარჯვეს ველორბოლასა და ტყვიით სროლაში, ხოლო ფრენბურთელები — გამოვიდნენ მეორე ადგილზე.

ძირეულ კოლექტივს განსაკუთრებული აღმავლობა დაეტყო მას შემდეგ, რაც იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ლატვიის სსრ ბაუსკას რაიონის საულაინის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმთან.

ი. ნუცუბიძე

ერთდროული სეანსი

ქალაქ სტალინირის კულტურისა და დასვენების პარკში საქართველოს რესპუბლიკის საჭადრაკო სექციის წევრმა, პირველთანრიგოსანმა ს. გუგუნავამ ჩაატარა ერთდროული სეანსი ჭადრაკში 13 დაფაზე.

შეხვედრები მოიგეს რ. კაბისოვმა, ქ. კოჩიევმა, რ. პლიევმა და ვ. პაპელიშვილმა.

სეანსმა მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

◆

გორი

აქ ჩატარდა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოჭიდავეებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ხასყიდაშვილი, ტ. მექვაბიძე, გ. ეგნატაშვილი (სამივე ტექნიკუმიდან), ა. ჭონიაშვილი (სკრა), ლ. ბარქაძე, ნ. კაჯილაშვილი (ატენი), ი. გამდლიშვილი (ქვეში) და ვ. აღდგომელაშვილი (ატენი).

ი. თევდორაშვილი

ხაშური

ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა „კოლმეურნის“ პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ ქვიშხეთის, ოსიაურის, ალის, ნაბახტევის, ფლევისა და ახალსოფლის კოლმეურნე სპორტსმენები.

წონითი კატეგორიებს მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბ. ოსიტაშვილი, ე. ნოზაძე, ე. ზაუტაშვილი, ზ. გათიკაშვილი, შ. ნოზაძე, გ. მჭედლიძე, ნ. ხაბელაშვილი, ო. მახარაშვილი.

გ. ამირხანოვი

ქარელი

ქარელში მოეწყო შეჯიბრება საზოგადოების რაიონულ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ ავლევის, რუისის, ფცის, აბისის, ზღუდრისა და სხვა სოფლების მოჭიდავეთა გუნდები.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს უმჩატეს წონაში ფციელმა ოსაძემ, მსუბუქ წონაში რუისელმა ბაზერაშვილმა, ქვემძიმე წონაშა გურასპაშვილმა და მძიმე წონაში ბერუაშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა რუისის მოჭიდავეთა კოლექტივმა.

ა. მჭარიაშვილი

ტორ ჰეიერდალი — „მოგზაურობა კონ-ტიკით“

წაიკითხეთ ეს წიგნი

ნორვეგიელი ეთნოგრაფის ტორ ჰეიერდალის ნაშრომი „მოგზაურობა კონ-ტიკით“ (ტივით პერუდან პოლინეზიამდე), რომელიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“, სამოგზაურო ლიტერატურის დარგში ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია. მას მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც მკითხველს, ახალგაზრდობას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის შესრულებისათვის, მეცნიერული მიზნებისათვის გამბედაობისა და მამაცობის სულისკვეთებით მსჭვალავს.

წიგნი მოგვითხრობს 1947 წელს ტორ ჰეიერდალის ექსპედიციის მიერ პერუდან პოლინეზიამდე ტივით მამაცური მოგზაურობის შესახებ. ეს მოგზაურობა, თავისი მასშტაბით, მეცნიერული მიმართებით და თვით მოგზაურთა გამბედაობისა და გამძლეობის მიხედვით ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს, გმირულ ექსპედიციად გვევლინება. მისმა მონაწილეებმა ცხრა მორისაგან შეკრული უბრალო ტივით, ტორ ჰეიერდალის ხელმძღვანელობით გაიარეს 4.300 საზღვაო მილი სამხრეთ ამერიკის ნაპირებიდან პოლინეზიის კუნძულებამდე, ე. ი. ორჯერ უფრო მეტი მანძილი, ვიდრე კოლუმბმა ვესტ-ინდოეთის კუნძულებისაკენ მისი პირველი მოგზაურობის დროს განვლო.

შემდეგ ნაშრომი მკითხველს წარმოუდგენს ამ უჩვეულო მოგზაურობის დროს ადამიანთა უდიდესი გმირობის, მამაცობისა და გამბედაობის მრავალ ნიმუშს, სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილეთა შეუპოვარ ბრძოლას ოკეანის ზვირთებთან, ქარიშხალთან, დაღლილობასა და უძილობასთან.

რა მიზანი ჰქონდა ამ, ერთი შეხედვით, ახირებულ ექსპედიციას, რომელმაც ცხრა მორისაგან შეკრული უბრალო ტივით ას დღეში დიდას ვაივაგლახით და გაჭირვებით გადალახა წყნარი ოკეანე და პოლინეზიას მიაღწია?

ჰეიერდალის მიზანი იყო იმის დამტკიცება, რომ პერუს უძველეს მცხოვრებთ შეეძლოთ თავიანთი ტივებით ემოგზაურათ პოლინეზიის კუნძულებამდე. საკითხის სიცხადისათვის განვმარტავთ, რომ ჰეიერდალი იმ ეთნოგრაფთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც იცავს „ამერიკულ“ ჰიპოთეზას პოლინეზიელების წარმოშობის შესახებ. ამ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ოკეანის კუნძულები დასახლებული იქნა სამხრეთ ან ჩრდილო ამერიკიდან მოსული ხალხით. ამ ჰიპოთეზის მოწინააღმდეგენი, უპირველეს ყოვლისა, მაუთითებდნენ იმაზე, რომ ამერიკის უძველეს მცხოვრებთ და განსაკუთრებით წყნარი ოკეანის სანაპიროების მცხოვრებთ, არ გააჩნდათ საზღვაო ხომალდები. პოლინეზიელების აზიური წარმოშობის საყოველთაოდ მიღებული ჰიპოთეზისა და მისი მომხრეების ზემოაღნიშნული არგუმენტის გასაბათილებლად ჰეიერდალმა მოაწყო მოგზაურობა პერუდან პოლინეზიამდე პერუს პრიმიტიული ხომალდებით.

მართალია, ჰეიერდალმა ბრწყინვალედ დამტკიცა, რომ ტივით, რომელიც არაფრით არ განსხვავდება პერუს უძველესი ტივებისაგან, შეიძლება პოლინეზიამდე მისვლა დინებისა და აღმოსავლეთის ქარების გამოყენებით, მაგრამ, იგი მაინც არ კმარა პოლინეზიელების ამერიკული წარმოშობის დასამტკიცებლად და საჭიროა ამ ჰიპოთეზის უფრო უტყუარი მეცნიერული დასაბუთება. ამიტომ, თუმცა ჰეიერდალის ექსპედიციის შემდეგ საეჭვო აღარ არის, რომ პერუელებსაც შეეძლოთ თავიანთი ტივებით მიეღწიათ პოლინეზიამდე. ჰიპოთეზა პოლინეზიელების აზიური წარმოშობის შესახებ, თავისი არსითა და არგუმენტებით მაინც ყველაზე უფრო მეცნიერულად დასაბუთებულ ჰიპოთეზად რჩება.

ამრიგად, ტორ ჰეიერდალის მოგზაურობა ტივით პერუდან პოლინეზიამდე, ადამიანის უდიდესი ვაჟკაცობის, გამბედაობის, გამძლეობას, ბუნების სტიქიასთან ჭიდილისა და მასი დაძლევის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს და იგი მიმზიდველად, საინტერესოდაა აღწერილი აღნიშნულ წიგნში. ამიტომ ეს ნაშრომი დიდი ინტერესით იკითხება.

ტ. ჰეიერდალის წიგნის გამოშვებით, რომლის თარგმანი შ. ბუაჩიძეს ეკუთვნის, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ კარგი საქმე გააკეთა.

ი. გაბაშვილი

პასუხი შეკითხვაზე

ჩვენი გაზეთის მკითხველი ი. დიდიძე გვეკითხება: რატომ არის რომ ადამიანთა უმეტესი ნაწილი უფრო უკეთ ხმარობს მარჯვენა ხელს, ვსარგებლობთ ამ თემაზე ჟურნალ „ფიზკულტურა და სპორტში“ გამოქვეყნებულ წერილით.

• • •

ცნობილია, რომ უმრავლესობა უფრო უკეთ ხმარობს მარჯვენა ხელს, ვიდრე მარცხენას, ე. ი. მათ მარჯვენა მარცხენაზე უფრო ძლიერა აქვთ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ეგრეთწოდებული ცაციები, ე. ი. ის ადამიანები, რომლებიც მარცხენას მარჯვენაზე უკეთ ხმარობენ.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის ორგანიზმის ყველა ნაწილი თანაბრად როდი ვითარდება. არათანაბრად ვითარდება არა მარტო კიდურები, არამედ თვით ტანიც. ადამიანთა უმრავლესობას მარჯვენა გულმკერდის გარშემოწერილობა მარცხენაზე რამდენიმე მეტი აქვთ. უფრო მეტიც, ადამიანის პირი სახის ერთი ნახევარი მეტია მეორე ნახევარზე.

მეცნიერები ცდილობდნენ აეხსნათ ადამიანის ორგანიზმის ამ არათანაბარი განვითარების მიზეზები. გამოთქმულ იქნა მრავალი აზრი, მათ შორის ასიმეტრიულობა, რომელსაც წარმოშობს სხეულის რომელიმე ნაწილის ცალმხრივი ვარჯიში. დაბადებიდანვე ადამიანის ორგანიზმის რომელიმე ნაწილი: ცალი ხელი, სხეულის რომელიმე ნაწილი და ა. შ. უფრო მეტ საქმიანობას განიცდის რის შედეგად სხეულის ერთი მხარე იღებს უფრო მეტ საკვებ ნივთიერებას, რაც იწვევს ორგანიზმის ამ ნაწილის უკეთ განვითარებას.

ორგანიზმის მკვეთრი ასიმეტრიულობა არა თუ არღვევს ორგანიზმის აღნაგობის მთლიანობას, არამედ გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის შრომასა და სპორტში. ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს ძლიერი, ე. ი. მარჯვენა ხელი, შედარებით სწრაფად ეუფლებიან მარცხენა ხელით საქმიანობას. დიდი რუსი ფიზიოლოგი აკად. ივანე პავლოვი ცაცია იყო, მაგრამ შეუპოვარი ვარჯიშის შედეგად შესძლო მარჯვენა ხელის შრომისუნარიანობის გათანაბრება მარცხენა ხელთან.

ტანის სუსტი, ნაკლებგანვითარებული ნაწილის გასავარჯიშებლად სპორტული წვრთნა ხელს უწყობს სხეულის ჰარმონიულ განვითარებას და წარმოადგენს მოძრაობის კოორდინაციის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფორმას, აქტიური დასვენების საშუალებას.

რედაქტორი **ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვებთა — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02283